ა.(ა).ი.პ ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის 2021 წლის ანგარიში

ა.(ა).ი.პ ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრს 2021 წელს დაგეგმილი ჰქონდა არაერთი საინტერესო შემეცნებით-გასართობი ღონისძიება, სპექტაკლის პრემიერა, ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი და ა.შ.

სამწუხაროდ, ქვეყანაში შექმნილმა რთულმა ეპიდემიოლოგიურმა მდგომარეობამ და დადგენილმა რეგულაციებმა არ მოგვცა შესაძლებლობა სრულად გაგვეხორციელებინა წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებები.

2021 წლის აპრილის თვიდან, რეგულაციების მოხსნასთან ერთად, ეტაპობრივად ჩვენც დავიწყეთ ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება. აპრილის თვეში ჩავატარეთ ხუთი ღონისძიება. („9 აპრილი“ , მუხრან მაჭავარიანის და ნიკო გომელაურის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო , „დედაენის დღე“ და ვ.მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან 91 და მუზეუმის დაარსებიდან 81 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

მაისის თვეში საბავშვო მუსიკალური თეატრი „ირიდას'' ხელმძღვანელს და თეატრის რამდენიმე აღსაზრდელს დაუდასტურდა COVID-19, რის გამოც იძულებული გავხდით გაგვეუქმებინა დამოუკიდებლობისა და ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები (26 მაისი, 1 ივნისი) .

18 მაისს, მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბაღდათის მუნიციპალიტეტის ვ.მაიკოვსკის სახლ-მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზში მუზეუმის ხელმზღვანელმა ბექა კუჭუხიძემ გამართა შეხვედრა. მოწვეულ სტუმრებს მუზეუმის მნიშვნელობასა და კოვიდ პანდემიით გამოწვეულ სირთულეებზე ესაუბრა.
ბაღდათის სახალხო თეატრმა 24 ივნისს, “ იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე „ წარადგინა ოთარ ბაღათურიას - „მეფე ლირი თავშესაფარში“. რეჟისორ ავთანდილ სახამბერიძის ნამუშევარმა დიდი მოწონება დაიმსახურა. ბაღდათის თეატრის მსახიობს ეთერ დევიძეს კი გადაეცა დიპლომი ნომინაციაში „საუკეთესო ეპიზოდური როლი“.

9-10 ივლისს ჩატარდა რევაზ ლაღიძის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო. კომპოზიტორის 100 წლის იუბილე მისივე სახელობის კულტურის ცენტრში აღინიშნა. ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს პატრიარქის სახელით ცნობილი მე-16 საერთაშორისო სააღდგომო ფესტივალი „ აღდგომამდე“ გაიმართა. ბაღდათს ეწვია ფესტივალის საპატიო სამხატვრო მრჩეველი, ამერიკაში მცხოვრები ცნობილი

პიანისტი და ბოსტონის ,,New England Conservatory”-ს პროფესორი ალექსანდრე კორსანტია.

საიუბილეო საღამოზე მონაწილეობა მიიღო ქ. ქუთაისის ოპერის სიმფონიურმა ორკესტრმა, რევაზ ჯავახიშვილის დირიჟორობით. კლასიკური მუსიკის საღამოზე კომპოზიტორის შემოქმედება შესრულდა. ღონისძიების ფარგლებში 10 ივლისს რ.ლაღიძის სახელობის ბაღდათის კულტურის ცენტრის მიმდებარე სკვერში კომპოზიტურის ბიუსტი გახსნეს. საღამოს კი ვ.მაიაკოვსკის სახ.სახლ-მუზეუმის ეზოში კონცერტი გაიმართა, რომელშიც ანსამბლი „ქართული ხმები“, „ჩვენი კვარტეტი“ და ადგილობრივი მომღერლები მონაწილეობდნენ.

ღონისძიების დასასრულს საფუძველი ჩაეყარა რევაზ ლაღიძის და ჯანსუღ კახიძის საპატივცემულოდ კლასიკური მუსიკის ფესტივალს, რომელიც ბაღდათის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ივლისში გაიმართება.

საბავშვო მუსიკალურმა თეატრმა „ირიდამ“ თავის მსმენელს შოუ -კონცერტი „ვიხალისოთ-გავერთოთ“ წარუდგინა.

19 ივლისს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის ეზოში აღინიშნა პოეტის დაბადებიდან 128 წლისთავი , საიუბილეო საღამოზე გაიხსენეს მაიაკოვსკის მოღვაწეობა და შემოქმედება, წაიკითხეს პოეტის ლექსები.ღონისძიების ბოლოს გაიმართა კონცერტი. ადგილობრივმა შემსრულებლებმა მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები წარმოადგინეს .

ასევე ივლისის თვეში, ჯ.ღვინჯილიას სახელობის ბიბლიოთეკაში 3 ბუმბერაზი ქართველის - ნოდარ დუმბაძის, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ვაჟა-ფშაველას დაბადების დღე აღინიშნა. წლის ბოლოს კი 25 დეკემბერს მცირე პერფორმანსით საზეიმოდ აინთო ბაღდათის მთავარი ნაძვის ხე.

ასევე 2021 წელს გამოვიდა „ჩემი გაზეთის“ 4 ნომერი, სადაც მუნიციპალიტეტში მიმდინარე სიახლეები: სოფლის მეურნეობა, კულტურა, სპორტი, განათლება, ჯანდაცვა და სხვა სიახლეები შუქდებოდა.

2020-2022 წლებში ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და სოფლის ფილიალებში, შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, მუშაობა მიმდინარეობდა ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში.

არსებული მკითხველები და გაცემული ლიტერატურის რაოდენობამ ჯამურად შეადგინა:

1. ბაღდათის ცენტრალური ბიბლიოთეკა - მკითხველი 450
   გაცემა - 600
2. წითელხევი _____ მკითხველი 120
   გაცემა - 200
3. დიმი _____ მკითხველი - 130
   გაცემა - 320
4. I ობჩა _____ მკითხველი - 110
   გაცემა - 200
5. II ობჩა _____ მკითხველი - 100
   გაცემა - 180
6. ფერსათი _____ მკითხველი - 200
   გაცემა - 310
7. ზეგანი _____ მკითხველი - 60
   გაცემა - 120